საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2006 2025 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. დაევალოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ამავე კანონით გათვალისწინებული შესყიდვის საშუალებებით შესყიდვასთან, სამშენებლო სამუშაოების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე განსახორციელებელ შესყიდვასთან ან/და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის

2016 წლის 11 ივლისის №321 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ამავე წესით დადგენილი შესყიდვის საშუალებებით შესყიდვასთან დაკავშირებით სამშენებლო მასალების, მანქანა-მოწყობილობებისა და შრომის ანაზღაურების შესაბამისი სარეკომენდაციო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა.

2. დაევალოს სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხარდაჭერა, მის გამგებლობაში არსებული შესაბამისი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

3. დაევალოს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის სარეკომენდაციო საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ მეთოდოლოგიისა და სარეკომენდაციო საბაზრო ღირებულების დადგენაში დახმარების გაწევა.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული, შრომის ანაზღაურების შესაბამისი სარეკომენდაციო საბაზრო ღირებულება განისაზღვროს არაუგვიანეს 2025 წლის 10 დეკემბრისა, ხოლო სამშენებლო მასალებისა და მანქანა-მოწყობილობების შესაბამისი სარეკომენდაციო საბაზრო ღირებულება – ეტაპობრივად, 2026 წლის განმავლობაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**